ლენინიზმი — ეპოქის დროშა!

ДРОША ЭПОХИ — ЛЕНИНИЗМ

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი, № 94 (13215) | ხუთშაბათი, 22 აპრილი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

დღეს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 95-ე წლისთავია



ვ. ი. ლენინის გამოსვლა წითელ მოედანზე.

ნახატი რუსული ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ვ. ვასილიევისა.

გაუმარჯოს ლენინის მიერ შექმნილ სახელოვან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.

მარად ცოცხალი

დღეს 22 აპრილია — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების დღე.

თვითეულ ეპოქას ჰყავს თავისი დიდი ადამიანი, რომელიც ამომწურავად მოიცავს მთელ საკაცობრიო სახოებასა და სიბრძნეს. ისინი ასპარეზზე გამოდიან უმთავრესად და უწინარეს ყოვლისა ისტორიის გარდატეხის პერიოდებში, მკვეთრი შემობრუნებისა და სოციალური კონფლიქტების, სახალხო მოძრაობებისა და რევოლუციების ხანაში. და ჩვენმა მღელვარე ეპოქამაც კაცობრიობას მისცა ლენინი.

არიან ადამიანები, რომელთა მნიშვნელობასა და როლს ადამიანის სიტყვა ვერ მოიცავს. საბჭოთა ქვეყნისა და მთელი მსოფლიოსათვის ასეთი იყო და სამუდამოდ დარჩება ვ. ი. ლენინი. დიდი და სადა, თავმდაბალი და ადამიანებისადმი გულისხმიერი, თავისა და სხვების მიმართ მკაცრი მომთხოვნი, პრინციპული და პატიოსანი, გამჭრიახი და ბრძენი პოლიტიკაში, მტრებისადმი ულმობელი და რევოლუციური ოპტიმიზმით აღსავსე. მუდამ დაკავშირებული მშრომელთა მასებთან და მათი უშრეტი ძალებისადმი ღრმა რწმენით გამსჭვალული — აი დაუვიწყარი ლენინის ცოცხალი სახის ზოგიერთი თვისება.

მთელი მსოფლიოს მშრომელთა გული აღსავსეა დიდი ბელადისა და მასწავლებლისადმი დიდი სიყვარულით. მრავალი თაობა ოცნებობდა სამართლიან საზოგადოებრივ წყობილებაზე. მაგრამ ოცნება ოცნებად რჩებოდა.

ლენინის მიერ შექმნილმა კომუნისტურმა პარტიამ დარაზმა მეფის რუსეთის ხალხები კაპიტალზე საიერიშოდ და გამარჯვებამდე მიიყვანა ისინი, დაიწყო სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების ერა. ლენინის მოძღვრება შუქურაა, რომელიც მშრომელებს უნათებს განთავისუფლებისათვის ძლევამოსილი ბრძოლის გზას.

ლენინიზმის დროშით გაიმარჯვა სოციალიზმმა სსრ კავშირში. კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის დაწყება არის ლენინის ანდერძისადმი ერთგულების შედეგი, კომუნისტური პარტიის დიადი მაორგანიზებელი და წარმართველი მოღვაწეობის, მისი ბრძნული ხელმძღვანელობის შედეგი, მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის გმირული შრომის შედეგი, რომლებიც ერთსულოვნად უჭერენ მხარს პარტიის პოლიტიკას.

ლენინიზმის დროშით მიმდინარეობს სოციალიზმის მშენებლობა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. იზრდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მთელ მსოფლიოში.

საბჭოთა ადამიანები სახეს უცვლიან ჩვენს ქვეყანას, ახორციელებენ კაცობრობის უველაზე გაბედულ ოცნებას — იერიშით იღებენ კოსმოსურ სიმაღლეებს. ყოველ დღეს მოაქვს ახალი, სასიხარული ამბები საბჭოთა ხალხის წარმატებებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის, ნოემბრის და მარტის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

მთელ თავის მსოფლიო-ისტორიულ მონაპოვრებს, ყველაფერს, რაც კი ამაღლებს და ადიდებს საბჭოთა ხალხს, ჩვენს პარტიას, საბჭოთა ადამიანები უკავშირებენ ვ. ი. ლენინის სახელს — გენიალური მოაზროვნის და მშრომელთა საყვარელი ბელადის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის სახელს.

საბჭოთა წყობილების ძალა ემყარება საბჭოთა საზოგადოების ურყევ მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ერების მჭიდრო ლენინურ თანამეგობრობას.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ქართველმა ხალხმაც, რომელიც ერთსულოვნად გაჰყვა დიდი ლენინის გზას, სასახელო წარმატებები მოიპოვა სახალხო მეურნეობის განვითარების ყველა დარგში. დიდი ლენინი რევოლუციური მოღვაწეობის დღიდანვე, თვალყურს ადევნებდა საქართველოში მოვლენების განვითარებას, შეიყვარა, ახლო გაიცნო ქართველი პროფესიონალი რევოლუციონერები, მწერალ-მოწერა და უშუალო ურთიერთობა ჰქონდა მათთან.

ლენინიზმის მზით გამთბარი საბჭოთა საქართველო, მისი შრომისმოყვარე ხალხი სათუთად ინახავენ ბელადის ესოდენ დიდ სიყვარულს. ხალხურ ფოლკლორში თუ ქართულ მწერლობაში, კინოეკრანზე თუ თეატრალურ დადგმებში იღვწიან იმისათვის, რომ შექმნან დიდი ლენინის უკვდავი სახე. და დღეს, როცა ქართველი ხალხი დიდი ბელადის დაბადების 95 წლისთავს ზეიმით აღნიშნავს, ეს ამავე დროს არის ასი წლისთავისათვის მზადების დიდი დასაწყისიც.

ლენინმა გენიალურად განჭვრიტა სოციალიზმის განვითარება არა მარტო სსრ კავშირში, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც. თავისუფლების იდეები, ლენინიზმის იდეები ძლევამოსილად ვრცელდება ყველა კონტინენტზე. ლენინური გზით, ჩვენს მხარდამხარ მიდიან მსოფლიო სოციალისტური სისტემის ქვეყნები. ახლა სოციალიზმის დროშა ფრიალებს არა მარტო ევროპისა და აზიის ქვეყნებში, არამედ კაპიტალიზმის ციტადელის — ამერიკის შეერთებული შტატების ნაპირების მახლობლადაც — კუბაში.

იმპერიალიზმი ცდილობს გაიხანგრძლივოს თავისი არსებობა, ომით დაბრკოლოს სოციალიზმის წინსვლა. ამერიკის შეერთებული შტატები უკვე რამდენიმე თვეა ხელს არიღებენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ვიეტნამის გამწვავებაზე, ბარბაროსულად ბომბავენ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას. მამაცი ვიეტნამელი ხალხი გმირულად იბრძვის ავრესიის წინააღმდეგ. აზიის ეს პატარა სოციალისტური ქვეყანა მარტო არ არის! მას ითოლიდარობას უცხადებენ და მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები, მთელი მშვიდობისმოყვარე ძალები.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ერთგულად იცავენ ლენინურ სამშვიდობო პოლიტიკას და ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ საშუალება არ მისცენ იმპერიალისტებს თერმოატომური კატასტროფის მორევში გადაჩეხონ მსოფლიო. ეს ჭეშმარიტად ლენინური პოლიტიკაა. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „მთელი ჩვენი კოლიტიკა და პროპაგანდა იმას კი არ ისახავს მიზნად, რომ ჩაიფრიოს ხალხები ომში, არამედ იმას, რომ ბოლო მოუღოს ომს“.

კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა ხალხს ღრმად სწამთ სოციალისტური წყობილების მძლავრი ძალები. ჩვენი დიდი მიზნები და ჩვენი წინსვლის ნათელი გზა. ჩვენი ქვეყნის განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული ლენინური კურსი, საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი აქტივობა და ინიციატივა უტყუარი საწინდარია იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახული ამოცანები წარმატებით გადაიჭრება.

ლენინის სახელი, მისი საქმეები და მოძღვრება საუკუნეებსა და ათასეულ წლებში იცოცხლებს.

ლენინიზმი უძლეველია!

მოწოდებანი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა 1965 წლის 1 მაისისათვის

1. გაუმარჯოს 1 მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ერთობისა და ძმობის დღეს!

2. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

3. გაუმარჯოს ხალხთა მშვიდობასა და მეგობრობას!

4. გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს — მარად ცოცხალ რევოლუციურ მოძღვრებას!

5. გაუმარჯოს პარტიის ურყევ ლენინურ გენერალურ ხაზს, რომელიც სკკპ XX, XXI და XXII ყრილობებმა შეიმუშავეს!

6. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მთელი ძალები მოახმარეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის შესრულებას! წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

7. მგზნებარე სალამი მოძმე კომუნისტურ და მუშათა პარტიებს — მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის მებრძოლ ავანგარდს!

8. გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მუშათა კლასს!

9. გაუმარჯოს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობასა და შეკავშირებას მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, მოსკოვის თათბირების დეკლარაციისა და განცხადების საფუძველზე!

10. სოციალიზმის ქვეყნების ხალხებო, საერთაშორისო მუშათა კლასო, ხალხებო, რომლებიც ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას აწარმოებთ, რევოლუციურო ძალებო! შეკავშირდით იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, ეროვნული განთავისუფლებისათვის, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში!

11. მსოფლიოს ხალხებო! იბრძოლეთ კოლონიური მონობის სამარცხვინო სისტემის სრული და საბოლოო ლიკვიდაციისათვის, ყველა ფორმის იმპერიალისტური დამოკიდებულების წინააღმდეგ!

12. ყველა ქვეყნის ხალხებო! იბრძოლეთ საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, ატომური იარაღის აკრძალვისათვის, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, ქვეყნად მტკიცე მშვიდობისათვის!

13. მსოფლიოს ხალხებო! იბრძოლეთ იმისათვის, რომ შეწყდეს ამერიკის იმპერიალიზმის სამხედრო ინტერვენცია სამხრეთ ვიეტნამში და მისი აგრესიული მოქმედება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ! მოითხოვეთ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების დაუყოვნებლივ გაყვანა სამხრეთ ვიეტნამიდან!

ხელები შორს ვიეტნამისაგან!

14. მსოფლიოს ხალხებო! იბრძოლეთ ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნის იმპერიალისტური გეგმების წინააღმდეგ, იმისათვის, რომ დასავლეთ-გერმანელმა რევანშისტებმა ხელთ არ იგდონ ატომური იარაღი!

15. ყველა ქვეყნის ხალხებო! იბრძოლეთ დასავლეთ გერმანიის რევანშისტული და მილიტარისტული ძალების ალაგმვისათვის, ნაცისტ სამხედრო დამნაშავეთა სასტიკად დასჯისათვის, გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადებისათვის!

16. გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ სისტემას — საერთაშორისო მუშათა კლასის მთავარ მონაპოვარს!

დაე მტკიცდებოდეს სოციალიზმის ყველა ქვეყნის ხალხთა შეკავშირება, ძმური მეგობრობა და ერთობა!

17. ძმური სალამი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის დიდი ხალხების მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

18. ძმური სალამი ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და ალბანელი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

19. ძმური სალამი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და ბულგარელი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

20. ძმური სალამი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და უნგრელი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

21. ძმური სალამი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ, იბრძვიან ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ, თავიანთი ქვეყნის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის დემოკრატიულ საწყისებზე! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და ვიეტნამელი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

22. ძმური სალამი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

გაუმარჯოს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას!

23. ძმური სალამი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ, იბრძვიან თავიანთი ქვეყნის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის დემოკრატიულ საწყისებზე! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და კორეელი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

24. ძმური სალამი კუბის გმირ ხალხს, რომელიც სოციალიზმს აშენებს! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და კუბელი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

გაუმარჯოს კუბის რესპუბლიკას!

25. ძმური სალამი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და მონღოლი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

26. ძმური სალამი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და პოლონელი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

27. ძმური სალამი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და რუმინელი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

28. ძმური სალამი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და ჩეხოსლოვაკიელი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

29. ძმური სალამი იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და იუგოსლავი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

30. მხურვალე სალამი დიდ ინდოელ ხალხს! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა!

31. მხურვალე სალამი დიდ ინდონეზიელ ხალხს! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა!

32. მხურვალე სალამი სამხრეთ ვიეტნამის მამაც ხალხს, რომელიც გმირულ ბრძოლას ეწევა ამერიკის იმპერიალიზმის შეიარაღებული ინტერვენციისა და გამყიდველი ანტიხალხური რეჟიმის წინააღმდეგ, თავისი სამშობლოს გაერთიანებისათვის დემოკრატიულ საწყისებზე!

33. მხურვალე სალამი სამხრეთ კორეის მამაც ხალხს, რომელიც იბრძვის ამერიკის ჯარების გაყვანისათვის, თავისი სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანებისათვის!

34. მხურვალე სალამი ბირმის, კამბოჯის, ლაოსის, ნეპალის, ცეილონის ხალხებს, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის და თავიანთი ქვეყნების ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის!

35. მხურვალე სალამი ავღანელ ხალხს! დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობა!

36. მხურვალე სალამი არაბთა ქვეყნების ხალხებს, რომლებიც იბრძვიან კოლონიალიზმის სრული ლიკვიდაციისა და თავიანთი დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის!

37. მხურვალე სალამი არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხს, რომელიც აშენებს დამოუკიდებელ, ეროვნულ, დემოკრატიულ სახელმწიფოს, იბრძვის თავისი ქვეყნის სოციალისტური განვითარებისათვის! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა!

38. მხურვალე სალამი ალჟირის გმირ ხალხს, რომელიც აშენებს დამოუკიდებელ, სახალხო-დემოკრატიულ სახელმწიფოს, იბრძვის თავისი ქვეყნის სოციალისტური განვითარებისათვის! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა!

(დასასრული მე-2 გვერდზე).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტში

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში ყველაზე თვალსაჩინო ნაშრომებისათვის ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ



I

მეცნიერების დარგში ყველაზე თვალსაჩინო ნაშრომებისათვის 1965 წლის ლენინური პრემიები მიენიჭოთ

1. ვლადიმერ იგორის-ძე **არნოლდს**, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის, სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ანდრია ნიკოლოზის-ძე **კოლმოგოროვს**, აკადემიკოსს, ამავე უნივერსიტეტის კათედრის გამგეს, — „პამილტონის სისტემათა მდგრადობის პრობლემის შესახებ ნაშრომთა ციკლისათვის.

2. ბოგდან ვიაჩესლავის-ძე **ვოიცეხოვსკის**, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების პიდროდინამიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, რენ ივანეს-ძე **სოლოუხინს**, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, ამავე ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს, იაკობ კირილეს-ძე **ტროშინს**, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ქიმიური ფიზიკის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, — „ირონა დეტონაციის გამოკვლევისათვის.

3. იური ალექსის-ძე **მიტროპოლსკის**, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორს, — „არაწრფივ დიფერენციალურ განტოლებათა თეორიისა და არაწრფივ რხევათა თეორიის შესახებ ნაშრომთა ციკლისათვის.

4. დამარა მაქსიმილიანეს ასულ **რაუზერ-ჩერნოუსოვას**, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს, — ფორამინიფერათა განვითარების საფუძველზე ზედა პალეოზოური სტრატიგრაფიის დეტალიზაციის მეთოდიკის მეცნიერული დასაბუთებისა და შემუშავების შესახებ ნაშრომთა ციკლისათვის.

5. ლევ ალექსანდრეს-ძე **ზენკევიჩს**, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ოკეანოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს, — მეცნიერული ნაშრომისათვის „სსრ კავშირის ზღვების ბიოლოგია“, რომელიც გამოქვეყნდა 1963 წელს.

6. ევგენი ნიკანორის-ძე **პავლოვსკის**, აკადემიკოსს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს — კონსულტანტს, — მეცნიერული ნაშრომისათვის „ტრანსმისიური დაავადებათა ბუნებრივი ერა ზოოანთროპონოზთა ლანდშაფტურ ეპიდემიოლოგიასთან დაკავშირებით“, რომელიც გამოქვეყნდა 1964 წელს.

7. ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე **ვორონინს**, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, — მეცნიერული ნაშრომისათვის „ჩრდილო-აღმოსავლეთ რუსეთის XII—XV საუკუნეების ხუროთმოძღვრება“ (2 ტომად), რომელიც გამოქვეყნდა 1961 და 1962 წლებში.

8. ლეონიდ ვიტალის-ძე **კანტოროვიჩს**, აკადემიკოსს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, ვასილ სერგეის-ძე **ნემჩინოვს**, აკადემიკოსს, ვიქტორ ვალენტინის-ძე **ნოვოჟილოვს**, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, ლენინგრადის სანეკონომიო — ეკონომიური ინსტიტუტის პროფესორს, — „წრფივი პროგრამირების მეთოდისა და ეკონომიური მოდელების მეცნიერული შემუშავებისათვის.

9. სერგი სერგის-ძე **ბრიუხონენკოს**, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, — „ხელოვნური სისხლის მიმოქცევის პრობლემის მეცნიერული დასაბუთებისა და შემუშავებისათვის.

10. პეტრე გიორგის-ძე **კორნევს**, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, რუსეთის სსრ ჯანმრთ-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

მ ო წ ო ლ დ ე ბ ა ნ ი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა 1965 წლის 1 მაისისათვის

(დასასრული)

39. მხურვალე სალამი აფრიკის სახელმწიფოთა ხალხებს, რომლებიც იბრძვიან კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ, თავიანთი დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის!

40. მხურვალე სალამი განის, გვინეისა და მალის ხალხებს, რომლებიც აშენებენ დამოუკიდებელ, ეროვნულ, დემოკრატიულ სახელმწიფოებს, მიდიან სოციალური პროგრესის გზით! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და განის, გვინეისა და მალის ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა!

41. მხურვალე სალამი კონგოელ ხალხს, რომელიც იბრძვის საშინაო და საგარეო რეაქციის წინააღმდეგ, თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის!

42. მხურვალე სალამი ანგოლის, მოზამბიკის, სამხრეთ როდეზიის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხალხებს, რომლებიც გმირულად იბრძვიან იმპერიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის!

43. მხურვალე სალამი კვიპროსის ხალხს, რომელიც თავდადებით იცავს თავის დამოუკიდებლობას იმპერიალისტთა ხელყოფისაგან!

44. მხურვალე სალამი ლათინური ამერიკის ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ, თავიანთი ქვეყნების სრული დამოუკიდებლობისათვის.

45. დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის ინტერესებისათვის!

46. დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა ხალხისა და საბერძნეთისა და იტალიის ხალხების მეგობრული ურთიერობა!

47. დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა ხალხისა და ირანის, პაკისტანისა და თურქეთის ხალხების მეგობრული ურთიერთობა!

48. მხურვალე სალამი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მშრომელებს და მთელ პროგრესულ ძალებს, რომლებიც იბრძვიან მილიტარიზმის და ფაშიზმის აღორძინების წინააღმდეგ!

49. ძმური სალამი ესპანეთისა და პორტუგალიის ხალხებს, რომლებიც მამაცურად იბრძვიან ფაშისტური რეჟიმების წინააღმდეგ, დემოკრატიული თავისუფლებისათვის!

50. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ავსტრიის ხალხთა მეგობრობასა და თანამშრომლობას!

51. მხურვალე სალამი ფინელ ხალხს! დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ფინეთის რესპუბლიკის ხალხთა მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობა!

52. დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა ხალხისა და დანიის, ისლანდიის, ნორვეგიის, შვეციის ხალხების მეგობრული ურთიერთობა!

53. მხურვალე სალამი იაპონელ ხალხს, რომელიც იბრძვის თავისი ქვეყნის სრული დამოუკიდებლობისათვის, ამერიკის სამხედრო ბაზების წინააღმდეგ! დაე ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ხალხთა მეგობრული ურთიერთობა!

54. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას!

55. დაე მუდამ ცოცხლობდეს ხალხთა ხსოვნაში საბჭოთა მეომრების, პარტიზანების, მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის საგმირო საქმეები, რომლებმაც ოცი წლის წინათ დიდი გამარჯვება მოიპოვეს გერმანიის ფაშიზმზე!

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს ბრძოლას ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის!

56. გაუმარჯოს გამარჯვებათა დიდებით მოსილ მამაც საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს!

57. საბჭოთა მეომრებო! წმიდად დაიცავით და გაამრავლეთ მეომრული ტრადიციები, მიაღწიეთ ახალ წარმატებებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, იყავით ფხიზლად და მუდამ მზად ყოველი აგრესორის შესამუსრავად!

58. დაე მტკიცდებოდეს და იფურჩქნებოდეს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირი, საერთოსახალხო სოციალისტური სახელმწიფოს ურღვევი საფუძველი!

59. გაუმარჯოს და მტკიცდებოდეს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი ერთიანობა და ძმური მეგობრობა!

60. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მთელი ძალღონე მოახმარეთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას!

61. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! უფრო ფართოდ გავშალოთ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება! ვადამდე შევასრულოთ შვიდწლედის უკანასკნელი წლის გეგმა!

62. დიდება კომუნისტური შრომის კოლექტივებსა და დამკვრელებს, წარმოების მოწინავეებსა და ნოვატორებს!

63. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! ყოველი ღონისძიებით განამტკიცეთ სოციალისტური საკუთრება — ჩვენი სამშობლოს ძლიერებისა და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საფუძველი!

64. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! ბეჯითად ზარდეთ შრომის ნაყოფიერება, იბრძოლეთ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის!

65. მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკებო! განახორციელეთ სპეციალიზაცია, კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, დანერგეთ წარმოებაში მეცნიერების, ტექნიკის მიღწევები და მოწინავე გამოცდილება! უფრო სრულად გამოიყენეთ საწარმოო სიმძლავრეები!

66. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ სახელმწიფო სახსრების ეკონომიურად ხარჯვისათვის! იბრძოლეთ უყაირათობის, ზედმეტობისა და მფლანგველობის წინააღმდეგ!

67. მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკებო! იბრძოლეთ კაპიტალურ დაბანდებათა ყველაზე გონივრულად და ეკონომიურად გამოყენებისათვის, ასამუშავებელი მშენებლობების საექსპლოატაციოდ გადაცემის დაჩქარებისათვის!

68. საბჭოთა მეტალურგებო და მაღაროელებო! გაადიდეთ მადნის ამოღება, თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, მილების, ფერადი და იშვიათი ლითონების წარმოება!

69. საბჭოთა ენერგეტიკოსებო, ელექტროსადგურებისა და ელექტროქსელების მშენებლებო და მემონტაჟეებო! უზრუნველყავით ენერგეტიკის განვითარების წინგამსწრები ტემპი, შეამცირეთ ენერგოსისტემების მშენებლობისა და ექსპლოატაციის ღირებულება!

70. მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის მუშაკებო! ბეჯითად იბრძოლეთ ტექნიკური პროგრესისათვის, უახლესი მანქანებითა და ხელსაწყოებით სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფისათვის!

71. ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკებო! გაადიდეთ ნავთობისა და გაზის მოპოვება! უფრო სწრაფად აითვისეთ ნავთობისა და გაზის საბადოები!

72. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარებისათვის!

73. ქიმიური მრეწველობის მუშაკებო! იბრძოლეთ მინერალური სასუქებისა და მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების წარმოების გასაადიდებლად და ხარისხის გასაუმჯობესებლად სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ინტერესებისათვის!

74. ავტოსატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საწარმოთა მუშაკებო! იბრძოლეთ ტრაქტორების, ავტომობილების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

75. საბჭოთა გეოლოგებო! უფრო სწრაფად აღმოაჩინეთ ჩვენი სამშობლოს წიაღთა აურაცხელი სიმდიდრენი!

76. ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებო! გაზარდეთ ქვანახშირის ამოღება, შეამცირეთ მისი თვითღირებულება! უკეთ გამოიყენეთ სამთო ტექნიკა!

77. საბჭოთა მშენებლებო! დაიჩქარეთ სამშენებლო სამუშაოთა ტემპი და გააუმჯობესეთ ხარისხი! უფრო სწრაფად ააშენეთ საწარმოო, საცხოვრებელი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები ქალაქად და სოფლად!

78. საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკებო! გაზარდეთ წარმოება, გააუმჯობესეთ საშენი მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების ხარისხი!

79. სატყეო, ხისდამამუშავებელი და ქაღალდის მრეწველობის მუშაკებო! მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი მაღალი ხარისხის მერქანი, ავეჯი, ცელულოზა და ქაღალდი!

80. მსუბუქი და კვების მრეწველობის მუშაკებო! გაზარდეთ წარმოება, გააუმჯობესეთ ასორტიმენტი, გააუმჯობესეთ საქონლისა და კვების პროდუქტების ხარისხი!

81. თევზის მრეწველობის მუშაკებო! გაადიდეთ თევზჭერა, გააუმჯობესეთ თევზის პროდუქტების ხარისხი და შეამცირეთ მათი თვითღირებულება!

82. ტრანსპორტის მუშაკებო! თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვეთ ტრანსპორტი! შეამცირეთ ტვირთის გადატანის ვადები, შეამცირეთ ტვირთზიდვის თვითღირებულება, უკეთ მოემსახურეთ მგზავრებს!

83. კავშირგაბმულობის მუშაკებო! განავითარეთ და სრულყავით კავშირგაბმულობის საშუალებანი! გააუმჯობესეთ მოსახლეობის მომსახურება!

84. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განვითარება მთელი პარტიის, მთელი ხალხის საქმეა! მტკიცედ იბრძოლეთ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გადაუდებელ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რომლებიც შეიმუშავა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა!

85. კოლმეურნეებო, საბჭოთა მეურნეობების მუშაებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! აამაღლეთ მიწათმოქმედების კულტურა, მტკიცედ დანერგეთ წარმოებაში მეცნიერების მიღწევები და მოწინავე გამოცდილება!

86. კოლმეურნეებო და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო! გაადიდეთ შრომის ნაყოფიერება, განუხრელად განახორციელეთ მატერიალური დაინტერესების ლენინური პრინციპი! მიაღწიეთ ყოველი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის რენტაბელურ მუშაობას!

87. სოფლის მეურნეობის მშრომელებო! უფრო ფართოდ გაშალეთ შეჯიბრება საგაზაფხულო თესვის სანიმუშოდ დამთავრებისათვის! იბრძოლეთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის!

88. სოფლის მეურნეობის მუშაკებო! უკეთ გამოიყენეთ ორგანული და მინერალური სასუქები სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის!

89. კოლმეურნეებო და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო! ყოველი ღონისძიებით განავითარეთ საზოგადოებრივი მეცხოველეობა! გაადიდეთ საკვები კულტურების მოსავლიანობა, უკეთ გამოიყენეთ მდელოები და საძოვრები!

90. კოლმეურნეებო! ყოველი ღონისძიებით განამტკიცეთ საზოგადოებრივი მეურნეობა! აქტიური მონაწილეობა მიიღეთ სასოფლო-სამეურნეო არტელის საქმეთა მართვაში!

91. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორებო! იბრძოლეთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისათვის! კარგად შეისწავლეთ, ნაყოფიერად გამოიყენეთ და გაუფრთხილდით ტექნიკას!

92. სოფლის მეურნეობის მეცნიერების მუშაკებო! გაამდიდრეთ პრაქტიკა ახალი აღმოჩენებითა და მიღწევებით, მჭიდრო კავშირი გქონდეთ კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან! ღირსეული წვლილი შეიტანეთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში!

93. ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მეურნეობის მუშაკებო! იბრძოლეთ მოსახლეობის მომსახურების მაღალი კულტურისათვის!

94. საბჭოთა დაწესებულებების მუშაკებო! გაუმჯობესეთ ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობა მასებში! აღმოფხვრით ბიუროკრატიზმი, გულისხმიერად მოეკიდეთ მშრომელთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს!

95. მეცნიერებისა და უმაღლესი სასწავლებლების მუშაკებო! იბრძოლეთ მეცნიერების შემდგომი აყვავებისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის! მომამზადეთ კომუნიზმის ეპოქის შესაფერი სპეციალისტები!

დიდება მოწინავე საბჭოთა მეცნიერებას!

96. დიდება საბჭოთა მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მუშებს, რომლებმაც ახალი ჰორიზონტები დასახეს კოსმოსური სივრცის ათვისებაში, უზრუნველყვეს მსოფლიოში პირველად ადამიანის გასვლა ხომალდიდან კოსმოსში!

დიდება სახელოვან საბჭოთა კოსმონავტებს!

97. ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებო! იბრძოლეთ ნაწარმოებთა პარტიულობისა და ხალხურობისათვის, მაღალი იდეურობისა და მხატვრული ოსტატობისათვის! უფრო ნათლად ასახეთ კომუნიზმის მშენებელთა გმირული საქმეების სიდიადე და სილამაზე, დარაზმეთ და მოუწოდეთ ადამიანებს იბრძოლონ კომუნისტური იდეალების გამარჯვებისათვის!

98. პრესის, რადიოსა და ტელევიზიის, გამომცემლობათა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკებო! აქტიურად დაეხმარეთ პარტიას აღზარდოს მშრომელები მარქსიზმ-ლენინიზმის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით!

99. სახალხო განათლების მუშაკებო! გააუმჯობესეთ ბავშვთა სწავლების ხარისხი, გამოაწრთეთ ახალი სულიერად და ფიზიკურად, აღზარდეთ მოზარდი თაობა შრომისმოყვარეობის, კოლექტივიზმის, კომუნიზმის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით!

100. მედიცინის მუშაკებო! გაუმჯობესეთ მოსახლეობის მომსახურება! პრაქტიკაში დანერგეთ მედიცინის მეცნიერების უახლესი მიღწევები! იბრძოლეთ საბჭოთა ადამიანის ჯანმრთელობისათვის!

101. გაუმარჯოს ჩვენს საერთო-სახალხო სოციალისტურ სახელმწიფოს! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა სოციალისტური დემოკრატია, იზრდებოდეს ყველა მშრომელის აქტივობა სახელმწიფოს საქმეთა მართვაში!

102. გაუმარჯოს საბჭოთა პროფკავშირებს — კომუნიზმის სკოლას!

103. გაუმარჯოს საბჭოთა ქალებს — კომუნისტური საზოგადოების აქტიურ მშენებლებს!

დიდება დედას, ბავშვების აღმზრდელს, დაუცხრომელ მშრომელს ყოფაცხოვრებასა და წარმოებაში!

104. გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს — კომუნისტური პარტიის ერთგულ თანაშემწესა და რეზერვს!

105. ქალიშვილებო და ჭაბუკებო! ბეჯითად დაეუფლეთ ცოდნას, ისწავლეთ კომუნისტურად მუშაობა და ცხოვრება! მთელი მჩქეფარე ახალგაზრდული ენერგია და შრომა მოახმარეთ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს!

გაუმარჯოს სახელოვან საბჭოთა ახალგაზრდობას!

106. პიონერებო და მოსწავლეებო! ისწავლეთ კარგად, გიყვარდეთ და პატივს სცემდეთ შრომას! ემზადეთ, რომ გახდეთ ლენინის საქმისათვის, კომუნიზმისათვის აქტიური მებრძოლნი!

107. კომუნისტებო და კომკავშირელებო! იყავით სსრ კავშირში კომუნიზმის აშენებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ავანგარდში!

108. დიდება დიდ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის სახელოვან მშენებელს, ქვეყნად მშვიდობისა და ყველა ადამიანის ბედნიერებისათვის მამაც მებრძოლს!

109. გაუმარჯოს პარტიისა და ხალხის დიად ურღვევ ერთიანობას!

110. გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

111. გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

112. გაუმარჯოს ლენინის მიერ შექმნილ სახელოვან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

113. გაუმარჯოს კომუნიზმს, რომელიც დედამიწაზე ამკვიდრებს ყველა ხალხის მშვიდობას, შრომას, თავისუფლებას, თანასწორობას, ძმობასა და ბედნიერებას!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

ლ ე ნ ი ნ უ რ ი პ რ ე მ ი ე ბ ი ს ლ ა უ რ ე ა ტ ე ბ ი



ა. ნ. კოლმოგოროვი. პ. გ. კორნეევი. პ. ნ. კრილოვი. ნ. ა. სოკოლოვი. მ. ვ. კუპრიანოვი. ფ. ა. ზავადსკი. ს. ს. სმირნოვი. ი. მ. სმოკტუნოვსკი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტში

(დასასრული)

ლობის დაცვის სამინისტროს ლენინგრადის ქირურგიული ტუბერკულოზის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ ხელმძღვანელს, — მეცნიერული ნაშრომისათვის „ძვალ-სახსრის ტუბერკულოზის ქირურგია“, რომელიც გამოქვეყნდა 1964 წელს.

II

ტექნიკის დარგში ყველაზე თვალსაჩინო ნაშრომებისათვის 1965 წლის ლენინური პრემიები მიენიჭოთ:

1. ვიქტორ ივანეს-ძე **ანდრეევს**, დირექტორს, გენადი იოსების-ძე **ბოგორადოვსკის**, პიეროს უფროსს, ალექსანდრე ანდრიას-ძე **ბურდინს**, არხოლდ ალექსანდრეს-ძე **კრინსკის**, საკონსტრუქტორო ჯგუფების ხელმძღვანელებს, ნიკოლოზ იაკობის-ძე **დუბინინს**, ბრიგადირს, ლეონიდ ანდრიას-ძე **კუზნეცოვს**, ტექსტილის მეცნიერებათა დოქტორს, მთავარ კონსტრუქტორს, ვოლდემარ ფრიდრიხის-ძე **რიხს**, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, მთავარი კონსტრუქტორის მოადგილეს, ვასილ სიმონის-ძე **შურუპოვს**, მთავარ ტექნოლოგს, ნეფის ვ. ი. ლენინის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშაკებს — მაგნეტრალური გასაადენების საკომპრესორო სადგურებისათვის 280-12 საჭირხნიანი გტ-700-5 გაზტურბინის აგრეგატის კონსტრუქციის შემუშავებისათვის, სერიული წარმოების ათვისებისა და სახალხო მეურნეობაში დანერგვისათვის.

2. ბერკო ვერშოკის-ძე **ბარანოვსკის**, ვასილ გიორგის-ძე **რაცს**, პიეროების უფროსებს, ეალენტინ დიმიტრის-ძე **ბოლტინს**, განყოფილების უფროსს, ათანასე გრიგოლის-ძე **ვედენოვს**, მთავარ მეტალურგს, ალექსანდრე დიმიტრის-ძე **გორიაჩევს**, მთავარი მეტალურგის მოადგილეს, ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე **კარაბჩევსკის**, მთავარ მექანიკოსს, ლენინგრადის კიროვის ქარხნის მუშაკებს, ალექსი სერგის-ძე **ევსეევს**, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, საავტომობილო მრეწველობის ტექნოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მთავარ მეტალურგს, კონსტანტინე პეტრეს-ძე **ივანოვს**, ამავე ინსტიტუტის დირექტორს, ალექსი კირილის-ძე **იგნატიევს**, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორს, სერგი ილადიმერის-ძე **კუტოვოს**, ამავე ინსტიტუტის განყოფილების უფროსს, ლეონიდ მიხეილის-ძე **ბარიშევსკის**, როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანათსაშენებელი ქარხნის მთავარ მეტალურგს, ბორის პაველის-ძე **პლატონოვს**, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, გორკის საავტომობილო ქარხნის სამსხმელო კორპუსის უფროსს, — მაღალი კუთრი წნევის წნეხვის მეთოდით სამსხმელო მიწის ფორმების მოსამზადებელი საწნეხი დანადგარებისა და საწნეხი ავტომატური ხაზების კომპლექსის შემუშავების, შექმნისა და წარმოებაში დანერგვისათვის.

3. მიხეილ ივანეს-ძე **ხარტონოვს**, სამხრეთ ყაზახეთის ეკონომიური რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, აჩისაის პოლიტიკურ ნების კომბინატის ყოფილ დირექტორს, ივანე გიორგის-ძე **ტარაკანოვს**, ამავე კომბინატის დირექტორს, ისრაელ შმულის-ძე **კოგანს**, ძველი „მირგალიმაის“ უფროსს, ნიკოლოზ ივანეს-ძე **აბრამოვს**, კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს, ბორის თეოდორეს-ძე **ერიომინს**, მთავარ ინჟინერს, ეიქტორ პეტრეს-ძე **ივანოვს**, ჩქაროსნული გვირაბგაყვანის უბნის მექანიკოსს, ნიკოლოზ სიმონის-ძე **კულეშს**, ჩქაროსნული ბრიგადის ბრიგადირს, აბსან **კულმანოვს**, ალექსანდრე თეოდორეს-ძე **ნივინს**, უბნების უფროსებს, სერგი ხარისანის-ძე **მალკინს**, გვირაბგამყვანს, ნიკოლოზ ს



ვ. ი. ლენინი.

ნახატი კ. სანაძისა.

გენიალური წინასწარმეტყველება

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ამიერკავკასიაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სტრატეგიული გეგმის ორგანულ ნაწილს შეადგენდა. ვ. ი. ლენინი თანმიმდევრული ენერგიითა და ინტენსივობით იბრძოდა როგორც საბჭოთა რუსეთის, ისე ამიერკავკასიის, კერძოდ საქართველოს ეკონომიური განვითარების საკითხების წარმატებით გადაწყვეტისათვის. იგი დაუცხრომლად ზრუნავდა ჩვენი მხარის საწარმოო ძალების აღმავლობისათვის.

ამიერკავკასიის საერთო ეკონომიური აღორძინებისა და საწარმოო ძალების აღმავლობის მთავარი, მაგისტრალური ხაზი განსაზღვრულ იქნა გოელროს გეგმით ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე ამიერკავკასიაში. გოელროს გეგმაში მოცემული იყო საქართველოს მდიდარი ბუნებრივი რესურსების (ქვანახშირის, მარგანეცის, ჰიდროენერგეტიკული რესურსების და სხვ.) მდგომარეობის ყოველმხრივი მეცნიერული დახასიათება, მათი მიზანშეწონილად, ეფექტურად გამოყენების ბრწყინვალე პერსპექტივები და კონკრეტული გზები. ამ გეგმაში ხაზგასმით იყო აღნიშნული საქართველოს ისეთი უმდიდრესი ბუნებრივი რესურსების რაციონალურად და კომპლექსურად გამოყენების აუცილებლობა, როგორიც არის ჰიდროენერგეტიკული რესურსები და მარგანეცი.

საქართველოში გოელროს სახელმწიფო პერსპექტიული გეგმით გათვალისწინებული იყო მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის აშენება მდინარე რიონზე (რიონჰესი), რომლის სიმძლავრე ნავარაუდევი იყო დაახლოებით იმდენივე, რასაც ფაქტურად შეადგენს რიონჰესის სრული სიმძლავრე ამჟამად.

რიონის ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიისა და ქიათურის მარგანეცის ბაზაზე გათვალისწინებული იყო ფერომანგანეცის წარმოების ორგანიზაცია, რაც სინთეზიდან განხორციელდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის აშენებით და საექსპლოატაციოდ გადაცემით. ელექტროენერგიის ნაწილი უნდა მოხმარებოდა ამიერკავკასიის რკინიგზის გარკვეული უბნის, პირველ რიგში სურამის ულელტეხილის (შორაპან-ხაშურის უბნის), ელექტროფიკაციისა და მრეწველობას.

ამ გეგმაში მოცემულია საქართველოს ნავთობის, ქვანახშირის (განსაკუთრებით ტყვარჩელის ქვანახშირის), მარგანეცის საბადოების მდგომარეობის ანალიზი და დასახულია ამ ძვირფასი წიაღისეულის მოპოვების გაფართოების **კონკრეტული** გზები. აქვე განხილულია საფეიქრო მრეწველობის, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს (კერძოდ, თბილისის გუბერნიის) მიწების მორწყვის საკითხები, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების სწრაფი ტემპით განვითარებისათვის.

მიწების მორწყვის მიზნით გოელროს გეგმით გათვალისწინებული იყო იაფი ჰიდროელექტროენერგიის გამოყენება, რაც გულისხმობდა უზარმაზარ ჰიდროენერგეტიკული რესურსების კომპლექსურად გამოყენების აუცილებლობას. მაშასადამე, გოელროს გეგმაში დასმული და სწორად იყო გადაწყვეტილი საქართველოს ეკონომიური განვითარების, საწარმოო ძალების განუხრელი აღმავლობის არსებითი საკითხები.

ვ. ი. ლენინის 1921 წლის 14 აპრილის წერილში — **„აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნის და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ-კომუნისტებს“** — ამიერკავკასიის რესპუბლიკების წინაშე გადაჭრით დასმულია ეკონომიური განვითარების, საწარმოო ძალების აღმავლობის ის კარდინალური საკითხები, რომლებიც გათვალისწინებული იყო გოელროს ცნობილი გეგმით ჯერ კიდევ 1920 წელს.

ვ. ი. ლენინის მითითებათა საფუძველზე საქართველოს კომუნისტებმა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პრინციპებზე დაყრდნობით შეიმუშავეს ჩვენი რესპუბლიკის კონკრეტული პირობების შესაბამისი მოხერხებული და მოქნილი ტაქტიკა. მისი გამოყენებით უზრუნველყოფილ იქნა სერიოზული წარმატებები ქვეყნის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა ფრონტზე. ეს თავისებური ტაქტიკა შემდგომში კონკრეტულად გამოხატა იმ რევოლუციურ-ეკონომიური ღონისძიებებით, რაც განხორციელდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ წლებში. წარმოების ძირითადი საშუალებანი საქართველოში გადავიდა საბჭოთა სახელმწიფოს ხელში, ე. ი. გადაიქცა საერთო-სახალხო საკუთრებად, რითაც მომზადდა მატერიალური წანამძღვრები სოციალიზმის მშენებლობისათვის.

ვ. ი. ლენინი ღრმად და ზედმიწევნით იცნობდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეხვ და ნაირსახოვან ბუნებრივ სიმდიდრეებს, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების, სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის პირობებში მხარის ეკონომიური განვითარების და საწარმოო ძალების განუხრელი აღმავლობის მტკიცე საფუძველი უნდა გამხდარიყო.

რესპუბლიკის ბუნებრივ სიმდიდრეთა შორის ვ. ი. ლენინი განსაკუთრებით აღნიშნავდა ჰიდროენერგეტიკული რესურსების სიუხვეს (თერმი ნახშირი), მარგანეცის, ქვანახშირის (ტყვარჩელის მაღაროები) და სხვა სამთამადნო სიმდიდრეს, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ეკონომიკის სწრაფი ტემპით განვითარებისათვის. იგი უპირველეს ყოვლისა მოითხოვდა, ელექტროფიკაციის დაუყოვნებლივ და ერთბაშად დაწყებას, მდიდარი ჰიდროენერგეტიკული რესურსების (თერმი ნახშირის) ყოველმხრივ გამოყენებას.

საქართველოს მშრომელები მომმე ხალხების დახმარებით შეუდგნენ რესპუბლიკის ელექტროფიკაციას. უკვე 1922 წლის 10 სექტემბერს საფუძველი ჩაეყარა ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურს (ზაჰესს). ვ. ი. ლენინის პირადი მითითებით ზაჰესის მშენებლობის დაფინანსების მიზნით პირველი უანგარო დახმარების სახით რუსეთის სფსრ მთავრობის სახსრებიდან გამოყოფილ იქნა 750 ათასი მანეთი ოქროთი. შემდგომში ამ ობიექტის მშენებლობის დაფინანსება მიმდინარეობდა როგორც საკავშირო, ისე ადგილობრივი სახსრებით.

ბელადის ბრძნული მითითებების საფუძველზე საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ომამდე და ომისშემდგომ პერიოდში ფართოდ გაშალეს ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. აშენდა და სრულყოფილებამდე მიიყვანეს ისეთი მძლავრი ჰიდროელექტროსადგურები, როგორიც არის ზაჰესი, რიონჰესი, ლაჯანურჰესი, გუმათაჰესი, ზაორჰესი, ტყიბულჰესი და სხვა. შეიქმნა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების ფართო ქსელი. საქართველოს მდიდარი ჰიდროენერგეტიკული რესურსების კომპლექსურად გამოყენების ლენინური იდეის პრაქტიკულად განხორციელების ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს სამგორის ირიგაციულ-ენერგეტიკული სისტემის შექმნა.

ჩვენი რესპუბლიკის ელექტროსადგურების მიერ 1963 წელს გამომუშავებულ იქნა 214-ჯერ მეტი ელექტროენერგია, ვიდრე 1913 წელს, და 5-6-ჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს. რესპუბლიკის ელექტროსადგურებმა 1963 წელს გამოიმუშავეს გაცილებით მეტი ელექტროენერგია, ვიდრე პაკისტანის, ირანის, ეიფეის, ავღანეთის ელექტროსადგურებმა ერთად.

მიუხედავად ასეთი სერიოზული ზრდისა, რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკული სისტემა ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს სახალხო მეურნეობის გაზრდილ მოთხოვნებს, იგანობა ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი დეფიციტი. ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ამ დეფიციტის ლიკვიდაცია. ამ მხრივ სერიოზული როლი უნდა შეასრულოს ენერგეტიკამ, რომლის მშენებლობა ახლა მიმდინარეობს.

დიდი ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ჭიათურის მარგანეცის საბადოების რაციონალური და გეგმაზომიერი ექსპლოატაციის საკითხს. მან ჯერ კიდევ გოელროს გეგმაში დასახა კონკრეტული ამოცანა ქართული მარგანეცის კომპლექსურად გამოყენებისა.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა საქართველოს სოციალისტური მრეწველობის ერთ-ერთი წამყვანი და მოწინავე დარგად გადაიქცა. არსებითად შეიცვალა მარგანეცის მოპოვების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამჟამად მარგანეცის წარმოების ძირითადი პროცესები მთლიანად მექანიზებულია. ყოველივე ამის საფუძველზე დიდად გაიზარდა მარგანეცის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება, არსებითად შეიცვალა, გაუმჯობესდა შრომისა და წარმოების პირობები.

1935 წელს დაიწყო ტყვარჩელის საბადოს გეგმიანი სამრეწველო ექსპლოატაცია. ქვანახშირის მოპოვება და გამდიდრება ტყვარჩელში წარმოების უახლესი ტექნიკის ფართო მასშტაბით გამოყენების ბაზაზე, წარმოებისა და ტექნიკის ყველა ძირითადი პროცესი არსებითად მექანიზებულია, რაც უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების სისტემატურ ზრდასა და ქვანახშირის მოპოვების შემდგომ აღმავლობას. ასე შეესება ხორცი ლენინის იდეას ტყვარჩელის საბადოს დამუშავებისა და სოციალიზმის მშენებლობის სამსახურში მისი ჩაყენების შესახებ.

მაგრამ გარდა ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოსი, რომლის დამუშავება შედარებით დაგვიანებით დაიწყო, ვ. ი. ლენინს უურადღებას არ გაურჩენია აგრეთვე საქართველოს ქვანახშირის უძველესი კერა — ტყიბულის საბადო, რომელსაც იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარების საერთო ღონისძიებათა სისტემაში.

1921 წლის 6 ივლისს სპეციალურ თათბირზე, რომელიც ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში შექმნილ მდგომარეობას მიეძღვნა, საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო კომიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა: „გვაქვს ცნობა, რომ ტყიბულის მაღაროებს ეძლევათ დიდი მნიშვნელობა საქართველოს ფარგლებს გარეთაც, რომ ლენინმა განკარგულება გასცა, რათა ყველა მოძრაობა ამიერკავკასიის რკინიგზაზე გადაყვანილ იქნას ტყიბულის ნახშირზე. სამეურნეო კავშირის პირველი ფორმები ამიერკავკასიის მომმე საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, უწინარეს ყოვლისა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის, ძირითადად გაიშალა სამხრეთ მრეწველობის პროდუქტების, კერძოდ ქვანახშირისა და ნავთობის პროდუქტების გაცვლის საფუძველზე.

საქართველოს სოციალისტური საწარმოო ძალების განვითარებისათვის ვ. ი. ლენინის დაუცხრომელი ზრუნვის ჭეშმარიტ დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ 1921 წლის 7 ივლისს იგი დეპეშით ავჭალს სასურსათო სახალხო კომისარიატს რწმუნებულს როსტოვში, რომ მან გაგზავნოს საქართველოში 100 ათასი ფუთი პური. ამ დეპეშაში ვკითხულობთ: „ვთვალისწინებ რა საქართველოს მძიმე სასურსათო მდგომარეობას, წინადადება გეძლევათ ივლისის განმავლობაში გაგზავნოთ თბილისში საქართველოს სასურსათო სახალხო კომისარიატის მისამართით 100 ათასი ფუთი პური. მოლება და აღსრულება დამიდასტურეთ“.

ქართველმა ხალხმა მადლიერების მაღალი გრძნობით მიიღო ამ ფაქტიდან ადამიანურ-ეკონომიურ პირობებში ეს უაღრესად დიდმნიშვნელოვანი დახმარება როგორც რუსი და ქართველი ხალხების გულითადი მეგობრობის მკაფიო დადასტურება.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი ერთიანობა მეგობრულ ოჯახში საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველო გადაიქცა ერთ-ერთ მოწინავე რესპუბლიკად, რომელსაც აქვს მაღალგანვითარებული მძლავრი სოციალისტური მრეწველობა და მსხვილი მეშენიებელი სოფლის მეურნეობა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა შემოქმედებითი შრომით შეიქმნა სოციალისტური ინდუსტრიის ისეთი გადამწყვეტი დარგები, როგორიც არის შავი მეტალურგია, ჩარხმშენებლობა, ფეროშენადნობთა წარმოება, ქიმიური, საელექტრომექანიკური, ხელსაწყოთსამშენებლო, ელექტროტექნიკური, სამენ მასალათა, ჩაის, საფეიქრო მრეწველობა და სხვა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის სოციალისტური სისტემა, რომელიც ჩვენს ქვეყანას აწვდის ძვირფას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს. საბჭოთა კავშირის მასშტაბით შრომის საზოგადოებრივ განაწილებაში ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

პროფესორი

ნ. ტყეშელაშვილი.

ვ. ი. ლენინი და საქართველოს ეკონომიური განვითარების საკითხები

◆

ზოგელობის, ადგილობრივ და სოციალისტური სოფლის მეურნეობის მაღალი სისტემის აღორძინება.

ახორციელებდნენ რა ბელადის ანდერძს, საქართ-

[illegible]

ბოდა ხელისუფლების პირველ [illegible] სერიოზულ [illegible] ბოდ, [illegible] ყველა დიდ [illegible] ლად, შექმნილიყო [illegible] გაცილული სისტემა. განსაკუთრებით ფართო მასშტაბით გაიშალა საირიგაციო საშუშაოები აღმოსავლეთ საქართველოში. აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცემეულია სამგორის, ვანათის, კეხვის, სოფლიშელის, ტაშისკარის, ტირიფონისა და სხვა სარწყავი სისტემები. 1950 წელს დამთავრდა ალაზნის სარწყავი კომპლექსის რეკონსტრუქცია. ომისშემდგომ პერიოდში გაიშალა სამგორის ირიგაციულ-ენერგეტიკული სისტემის მშენებლობა, რომლის კომპლექსის მთლიანად დამთავრებასა და საექსპლოატაციოდ გადაცემას უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკისათვის. 1965 წელს დაიწყო ზემო ალაზნის არხის პირველი რიგის მშენებლობა. შემდეგ დაიწყება ამ არხის მეორე რიგის მშენებლობა. ზემო ალაზნის მთელი სარწყავი სისტემის დამთავრება უზრუნველყოფს 110 ათას ჰექტარამდე ფართობის მორწყვას შიდა და გარე კახეთის რაიონებში.

ვ. ი. ლენინი საბჭოთა საქართველოს ეკონომიური აღმავლობისა და საწარმოო ძალების განუხრელად განვითარებასთან ერთად განსაკუთრებით ზრუნავდა აგრეთვე **ზშრომელთა ზატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურული დონის მკვეთრი ამაღლებისათვის.** 1921 წლის 14 აპრილს იგი აღნიშნავდა კონცესიების პოლიტიკისა და საზღვარგარეთთან საქონელგაცვლის ფართოდ გაშლის დიდ მნიშვნელობას და წერდა: „...ეს ყოველნაირად უნდა გამოიყენოთ მუშათა და გლეხთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მეურნეობის მშენებლობაში ინტელიგენციის ჩასაბმელად“. ამასთან ლენინი ყოველგვარ შესაძლებელ და აუცილებელ ზომებს იღებდა საქართველოს მშრომელების საჭირო სურსათით და მასობრივი მოხმარების საქონლით უზრუნველყოფისათვის.

მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ვ. ი. ლენინის დაუცხრომელი ზრუნვის ჭეშმარიტ დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ 1921 წლის 7 ივლისს იგი დეპეშით ავჭალს სასურსათო სახალხო კომისარიატის რწმუნებულს როსტოვში, რომ მან გაგზავნოს საქართველოში 100 ათასი ფუთი პური. ამ დეპეშაში ვკითხულობთ: „ვთვალისწინებ რა საქართველოს მძიმე სასურსათო მდგომარეობას, წინადადება გეძლევათ ივლისის განმავლობაში გაგზავნოთ თბილისში საქართველოს სასურსათო სახალხო კომისარიატის მისამართით 100 ათასი ფუთი პური. მოლება და აღსრულება დამიდასტურეთ“.

ქართველმა ხალხმა მადლიერების მაღალი გრძნობით მიიღო ამ ფაქტიდან ადამიანურ-ეკონომიურ პირობებში ეს უაღრესად დიდმნიშვნელოვანი დახმარება როგორც რუსი და ქართველი ხალხების გულითადი მეგობრობის მკაფიო დადასტურება.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი ერთიანობა მეგობრულ ოჯახში საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველო გადაიქცა ერთ-ერთ მოწინავე რესპუბლიკად, რომელსაც აქვს მაღალგანვითარებული მძლავრი სოციალისტური მრეწველობა და მსხვილი მეშენიებელი სოფლის მეურნეობა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა შემოქმედებითი შრომით შეიქმნა სოციალისტური ინდუსტრიის ისეთი გადამწყვეტი დარგები, როგორიც არის შავი მეტალურგია, ჩარხმშენებლობა, ფეროშენადნობთა წარმოება, ქიმიური, საელექტრომექანიკური, ხელსაწყოთსამშენებლო, ელექტროტექნიკური, სამენ მასალათა, ჩაის, საფეიქრო მრეწველობა და სხვა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის სოციალისტური სისტემა, რომელიც ჩვენს ქვეყანას აწვდის ძვირფას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს. საბჭოთა კავშირის მასშტაბით შრომის საზოგადოებრივ განაწილებაში ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

პროფესორი

ნ. ტყეშელაშვილი.

ქართველი რევოლუციონერები ლენინის შესახებ

ილიჩს მე პირველად შევხვდი რსდმპ III ყრილობის დროს. ეს იყო 1905 წლის აპრილ-მაისში. ყრილობის გახსნამდე ლენინი მელაპარაკეობდა ჩვენი მუშაობის პერსპექტივებზე, მთხოვდა უარი არ მეთქვა, თუ ორგანიზაციული კომისია ფინადადებით მომმართავდა, რომ ყრილობა გამეხსნა. შედგენილ იქნა ყრილობის პრეზიდიუმი ილიჩის მეთაურობით. მანვე გააკეთა ყრილობაზე ძირითადი პოლიტიკური მოხსენება.

მ. ცხაკაია.

ჩემს სიხარულს განსაკუთრებით აძლიერებდა მომავალი შეხვედრა დიდ მასწავლებელთან. მიუხედავად იმისა, რომ, დაწყებული 1917 წლის აპრილის კონფერენციით, მე საკმაოდ ხშირად მჭონდა შესაძლებლობა მენახა და მომესმინა ლენინი, რომცა ის გამოდიოდა ყრილობებზე, კონფერენციებზე, თათბირებზე და ა. შ., პირადად მას პირველად უნდა შევხვედროდი.

როგორც ეს შეხვედრა, ისე სიტყვები, რაც მან მაშინ მითხრა, არასოდეს არ წარიშლება ჩემს მეხსიერებაში.

ფ. მახარაძე.

1907 წელს, როცა ჩვენი სტამბა დახურეს, მე ამხ. კრასინმა ლენინთან გამომიხმო. დამეგალა საქართველოში წასულიყავი საპასპორტო ფინანსებისა და გლანცებისათვის. დავალება რომ შევასრულე, მალე პიტერს გავბრუნდი. ამხ. ლენინს ძალიან აინტერესებდა საქმეთა მეთვალეობა კავკასიაში და მეტადრე ის, თუ რა ხდებოდა საქართველოში.

ვ. სტურუა.

ღირსეული შეხვედრა!

მთელი საბჭოთა ხალხი და პროგრესული კაცობრიობა ქმედითად ემზადებიან იმისათვის, რომ აღნიშნონ ორი ისტორიული თარიღი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავი და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი.

20 აპრილს რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა საქართველოს თეატრალური საზოგადოების VIII პლენუმი, რომელიც მიეძღვნა მზადებას ამ ღირსშესანიშნავი თარიღებისათვის.

დარბაზში შეიკრიბნენ საქართველოს თეატრების მოღვაწეები, რეჟისორები, მსახიობები, დრამატურგები, კომპოზიტორები, მხატვრები, თეატრალური კრიტიკოსები, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

პლენუმის გახსნისას საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა **დ. ანთაძემ** აღნიშნა ის დიდი ენთუზიაზმი, რომლითაც საბჭოთა კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები ეგზადებიან პარტიისა და ხალხის ცხოვრების ამ ღირსშესანიშნავი თარიღებისათვის. ქართული თეატრის მოღვაწეებმა უნდა გამოიყენონ მთელი თავიანთი შემოქმედებითი გამოცდილება, მთელი ენერგია და შესაძლებლობა, რათა ღირსეულად აღნიშნონ მთელი კაცობრიობისათვის ძვირფასი თარიღები.

პლენუმზე მოხსენება „მზადება ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **დ. სტურუამ.**

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **გ. ახვლედიანი,** თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი **ა. ჩიმაკაძე,** პროფესორი **დ. ჯანელიძე,** ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი **ა. ვასაძე,** საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, კრიტიკოსი **ბ. ჟღენტი,** თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **გ. ლორთქიფანიძე,** საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე **ა. დვალიშვილი,** პედაგოგი **ბ. მჭედლიძე,** სსრ კავშირის სახალხო არტისტი **ს. ზაქარიაძე.**

პლენუმის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს თეატრალური ხელოვნების მოღვაწეები, საბჭოთა ხალხის გმირული შემოქმედებითი შრომით შთაგონებულნი, მომზადებული შეხვდებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავსა და ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს და შექმნიან ამ დიდი თარიღების შესაფერის ნაწარმოებებს.

პლენუმის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ **დ. ანთაძემ.**

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი რეზოლუცია. (საქდისი).

საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის VIII პლენუმი

◆

მშობლიური ლენინი

ის ცოცხალია — პირდაპირი,
შეურიგალი,
დროშად იწამეს, ძმად იწამეს
ქვეყნად ერებმა,
მან ოქტომბერში ამოხეთქა მძაფრი
გრიგალი,
ხალხებს უბოძა მშვიდობა და
ბედნიერება.

მის კეთილ რჩევას დედამიწა ხალისით
ელის,
რკინის ხელებით ზეატარებს დროშას
თამამად.
ყველა მებრძოლი, ყველა გმირი,
ბუნდის მსხვრეველი
ლენინს უწოდებს სიბრძნისა და
სინათლის მამას.

არ ეკარება არახლოდეს მის თვალებს
ძილი,
საგუშაგოზე აფრიალებს ფრთაგაშლილ
ალამს,
ის ესალმება ყველა გამვლელს სათნო
ღიმილით
და მკლავში მატებს ამირანის
ცეცხლოვან ძალას.

ოგი დგას მტკიცედ, თვით ფოლადზე
უფრო მაგარი,
ვითარცა ოქრო დროთა ყანგით
შეულახველი,
როგორც ლეგენდა, როგორც მითი,
როგორც ზღაპარი,
მომავალს ისე ეხსომება მისი სახელი.

მზის სინათლისკენ ისევ ასწევს ახალ
სართულებს,
მას ვერას აკლებს ავდარი და
ღრუბლთა სისქე,
არწივის თვალით მთელ სამყაროს
დინჯად გაჰყურებს
და ხელგაწვდილი გზას უჩვენებს
კომუნარებისკენ.

გიორგი სამხარაძე.

26 მილიონი მნახველი

მოსკოვი, (საქდისის კორ.). 26 მილიონი მნახველი იყო ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში მას შემდეგ, რაც ეს მუზეუმი გაიხსნა 1936 წლის მაისში. ახლა, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 95 წლისთავის წინა დღეებში, აქ ყოველდღიურად მოდის 16-18 ათასამდე მოსკოველი, დედაქალაქის სტუმარი და საზღვარგარეთის ქვეყნების წარმომადგენელი.

ეს ციფრები მოიყვანეს უცხოელ ჟურნალისტთა პრეს-კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმში. პრეს-კონფერენცია მოაწყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის კომიტეტმა. პრეს-კონფერენციას ესწრებოდნენ სოციალისტური ქვეყნების გაზეთების კორეს-პონდენტები და მთელ რიგ სახელმწიფოთა კომუნისტური პარტიების ცენტრალურ ორგანოთა წარმომადგენლები.

პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის დირექტორი ფ. ი. დოლგიხი.

სსრ კავშირის მრეწველობის მიერ 1965 წლის I კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

მრეწველობის მუშაკებმა, რომლებიც იბრძვიან შვიდწლედის წარმატებით დამთავრებისათვის, ვადამდე შეასრულეს როგორც წარმოების საერთო მოცულობის, ისე უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების 1965 წლის I კვარტალის გეგმა.

სამრეწველო პროდუქციის მატებამ 1964 წლის I კვარტალთან შედარებით შეადგინა 9 პროცენტი, ხოლო საშუალო სადღეღამისო წარმოება (მიმდინარე წლის პირველ კვარტალში იყო ერთი კალენდარული და ორი სამუშაო დღით ნაკლები, ვიდრე წარშან) **გადიდდა 11 პროცენტით.**

მრეწველობის ცალკეული დარგების პროდუქცია გადიდდა:

ელექტროენერგია და თბოენერგია	10	პროცენტით
სათბობის მრეწველობა	7	„
შავი და ფერადი მეტალურგია	7	„
ქიმიური მრეწველობა	14	„
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	7	„
ტყეყიო, ხის დასამუშავებელი და ქაღალდის მრეწველობა	4	„
საშენი მასალების მრეწველობა	10	„
მსუბუქი და კვების მრეწველობა	10	„
კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნების წარმოება	10	„

ძირითად სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოება ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	წარმოებულია 1965 წლის I კვარტალში	პროცენტებით 1964 წლის I კვარტალთან შედარებით
ელექტროენერგია (საერთო სარგებლობის ელექტროსადგურები და ბლოკსადგურები) — მილიარდი კილოვატ-საათი	119	109
ნავთობი — მილიონი ტონა	57,7	107
გაზი — მილიარდი კუბური მეტრი	32,3	116
ქვანახშირი — მილიონი ტონა	144	105
აქედან კოქსადი ქვანახშირი	34,1	103
თუჯი — მილიონი ტონა	16,3	106
ფოლადი — მილიონი ტონა	22,3	107
მზა ნაგლინი— მილიონი ტონა	15,2	107
ფოლადის მილები:		
მილიონი მეტრი	339	104
ათასი ტონა	2225	111
რკინის მადანი — მილიონი ტონა	36,5	104
მინერალური სასუქები — ათასი ტონა:		
ყუათიან ნივთიერებათა 100-პროცენტიან შემცველობაზე გადაანგარიშებით	1674	130
პირობითი ერთეულებით	6952	127
მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებანი მოქმედ საწყისზე გადაანგარიშებით — ათასი ტონა	24,6	131
გოგირდმჟავა — ათასი ტონა	2132	113
სინთეზური ფისები და პლასტიკური მასები — ათასი ტონა	197	116
ქიმიური ბოჭკოები — ათასი ტონა	100	116
კაუსტიკური სოდა — ათასი ტონა	319	115
კალცინირებული სოდა — ათასი ტონა	714	105
ავტომობილის საბურავები — მილიონი ცალი	6,4	107
ტურბინები — მილიონი კილოვატი	3,0	110
ცალადი დენის ელექტროძრავები — მილიონი კილოვატი	7,4	102
ლითონსაჭრელი ჩარხები — ათასი ცალი	45,7	103
სამჭედლო-საწნეხი მანქანები — ათასი ცალი	8,9	103
ხელსაწყოები — მილიონი მანეთისა	477	103
ნავთობის აპარატურა — ათასი ტონა	37,6	125
ქიმიური მოწყობილობა — მილიონი მანეთისა	91,6	121
საქსოვი დაზგები — ათასი ცალი	6,1	97
სამგისტრალო თბომავლები — სექცია	367	96
სამგისტრალო ელმავლები — ცალი	168	101
ავტომობილები — ათასი ცალი	148	98
ტრაქტორები — ათასი ცალი	85,6	112
სასოფლო-სამეურნეო მანქანები — სულ — მილიონი მანეთისა	346	104
ტრაქტორის გუთნები — ათასი ცალი	35,0	65
ტრაქტორის სათესელები — ათასი ცალი	64,2	134
ტრაქტორის კულტივატორები — ათასი ცალი	59,3	129
ტრაქტორის სათიბელები — ათასი ცალი	29,5	106
კომბაინები — ათასი ცალი:		
მარცვლეულის ასაღები	21,0	100
ჭარხლის ასაღები	4,4	97
მარცვლის საწმენდი მანქანები—ათასი ცალი	7,1	162
ექსკავატორები — ათასი ცალი	5,2	111
სამასალე მერქნის გამოზიდვა (კოლმეურნეობების ხე-ტყის დამზადების გარდა) — მილიონი კუბური მეტრი	89	99
ქაღალდი — ათასი ტონა	802	107
ცემენტი — მილიონი ტონა	16,7	111
ასაწყობი რკინაბეტონი—მილიონი კუბური მეტრი	13	112
საშენი აგური (კოლმეურნეობების წარმოების გარდა) — მილიარდი ცალი	7	100,9
შიფერი — მილიონი პირობითი ფილა	940	94
ფანჯრის მინა—მილიონი კვადრატული მეტრი	49,2	100,4
ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი:		
ბამბისა	1355	102
შალისა	115	94
სელისა	136	99
აბრეშუმისა	206	101
შეკერილი ნაწარმი — მილიარდი მანეთი	2,3	97
ტყავის ფეხსაცმელი — მილიონი წყვილი	121	100,2
ხორცი (ნედლეულის სახელმწიფო რესურსებიდან) — ათასი ტონა	893	115
ძეხვეული — ათასი ტონა	384	103
თევზი და ზღვის პროდუქტები—მილიონი ტონა	1,7	123
ერბო და კარაქი (ნედლეულის სახელმწიფო რესურსებიდან) — ათასი ტონა	142	172
მოუხდელი რძის პროდუქტია რძეზე გადაანგარიშებით (რძე, ხაჭო, კეფირი, მაწონი, ნაღები, არაყანი, ხაჭოს კვეი და სხვ)* — მილიონი ტონა	2,7	126
ყველი* — ათას

თბილისი. გუშინ ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე.

ფოტო ს. კილაძისა.

ილიჩის პორტრეტი

აყგაბებული ხელებით, სითბოთი, მზით გაკაშკაშებული დაგვხვდა მინერალური წყაროებით ცნობილი პიატიგორსკი.

უცხო ქალაქში ჩასულ ადამიანს, ბუნებრივია, მისთვის ნაცნობი, საინტერესო ადგილის ნახვა სწყურია. ჩვენც, რა თქმა უნდა, პირველ რიგში სასწაულმოქმედი წყაროები ვინახულეთ.

დავათვალიერეთ ღირსშესანიშნავი ადგილები. უყურადღება მიიპყრო მაკუშის მაღალი მთის სამხრეთ ფერდობზე ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სურათმა. მაშინვე გავემართეთ მთისაკენ, რათა უფრო ახლოს გვენახა ილიჩის საყვარელი სახე.

— ლენინის ამ სურათს მართლაც არაჩვეულებრივი ისტორია აქვს, — გვიყვება პიატიგორსკელი მასპინძელი, — ჩვენს ქალაქში 1925 წლის ივლისში უნდა ჩატარებულიყო ჩრდილოეთ კავკასიის ქალთა პირველი სამხარეო ყრილობა. ცხადია, ქალებმა მთელი ცოდნა და გამოცდილება გამომუღავნეს ამ დღესასწაულის კარგად შესახვედრად. მაშინ ჩრდილოეთ კავკასიის ქალთა სამხარეო განყოფილების გამგე იყო შესანიშნავი რევოლუციონერი და ნიჭიერი ორგანიზატორი ალექსეევა, რომელიც შეხვედრია პიატიგორსკში მცხოვრებ მხატვარს და პოეტს ნიკოლოზ შუკლინს.

— ნიკოლოზ კუზმიჩ, რით გინდათ, რომ წარსდგეთ ჩვენს ყრილობაზე?

— მე და ჩემი მეგობრები ყველაფერს გავაკეთებთ პროლეტარიატის სასარგებლოდ, — უპასუხნია მხატვარს და ფიქრებში წასულს გზა გაუგრძელებია.

მეორე დღეს ქალაქის მცხოვრებლებს მაკუშის მთის ფერდობზე შეუნიშნავთ ოთხი მოფუსფუსე ადამიანი. ისინი ახლანდელ „ალპინისტებივით“ უტევდნენ მწვერვალს, სინამდვილეში კი ეს „ალპინისტები“ პიტალო კლდის გამოშვერილს ამშშავებდნენ „სახატავ ტილოდ“.

ქალაქის კულტურის სახლში მიმდინარეობდა ყრილობა, სხდომის დარბაზში მეგობარი მხატვრების თანხლებით შემოვიდა ნიკოლოზ შუკლინი და შემოიტანა დიდ მუყაოზე დახატული ილიჩის პორტრეტი, ყრილობის დელეგატები ფეხზე ადგომით დატაშის გრიალით შეხვდნენ ამას.

და აი ტრიბუნაზე ავიდა თვით შუკლინი და განაცხადა: ეს მხოლოდ ახლია კლდეზე დახატული ილიჩის პორტრეტისა. მაშინ ყრილობის დელეგატებმა ერთხმად გადაწყვიტეს დასკვნითი სხდომა მთის ფერდობზე, ლენინის პორტრეტის ახლოს გადაეტანათ.

სახელდახელოდ მოწყობილ ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ყრილობის დელეგატები... ახლაც უჩვეულო მღელვარებით იგონებენ ამ დასკვნითს სხდომას ამ ყრილობის მონაწილენი.

გადიოდა დღეები, დადგა 1942 წლის ზაფხული. პიატიგორსკი ფაშისტებმა დაიკავეს. გერმანელმა კომენდანტმა ბრძანა რუხი საღებავით დაეფარათ პორტრეტი. გერმანელები შეუდგნენ ბრძანების შესრულებას, შეღებეს სურათი, მაგრამ გამუდმებულმა წვიმებმა მალე ჩამორეცხეს ჯერ კიდევ შეუმშრალი საღებავი და კლდეზე, როგორც მზე, კვლავ გამობრწყინდა ილიჩის სახე. მაშინ გამხეცებულმა ფაშისტებმა მთას დაუშინეს ზარბაზნები.

დიდხანს არ დასცალდათ გერმანელ ფაშისტებს პიატიგორსკში ბატონობა. ჩვენი ჯარების მოსვლისთანავე ქალაქში აღსდგა ნორმალური ცხოვრება. მხცოვანი მხატვარი შუკლინი კი, მიუხედავად მოხუცებულობისა, მარტო ავიდა მთაზე და რამდენიმე დღის დაძაბული მუშაობით აღადგინა ლენინის პორტრეტი.

პიატიგორსკის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭომ შემდეგში ვ. ი. ლენინის პორტრეტი ისტორიულ ძეგლად გამოაცხადა.

თ. ჯაუელი.

სურათზე: ვ. ი. ლენინის პორტრეტი მაშუკის მთის ფერდობზე პიატიგორსკში.

მაღაროელებს—ინქინრის დიპლომები

ბიათურა. (საკ. კორ.). სამ ათეულ წელზე მეტია, რაც მარგანეცის ქალაქში არსებობს საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტი. აქ მიიღეს ინჟინრის დიპლომები საპაერო-საბაგირო გზების გამოჩენილმა კონსტრუქტორმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა ინჟინერ-გამომგონებელმა გ. ფანცულაიამ, რომელიც ახლა მარგანეტრესტის მმართველის მოადგილეა მშენებლობის დარგში, მარგანტრესტის შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროსმა დ. გაბუნიამ, ლენინის სახელობის და პერევისის მაღაროების მთავარმა ინჟინრებმა კ. მჭედლიშვილმა და ბ. ჭანტურიძემ და სხვ. ინჟინრის დიპლომები ახლახან მიიღეს აგრეთვე ლენინის სახელობის მაღაროს პარტიული კომიტეტის მდივანმა ბ. ცუხიშვილმა, მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ბიათურის ქალაქკომის თავმჯდომარემ ბ. გაყოფელიძემ და სხვ. ამჟამად 20 ბიათურელი მაღაროელი იცავს სადიპლომო შრომას.

ტელევიზორები ფერმებში

ყოთელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის გამგეობამ შეიძინა ორი ტელევიზორი „რეკორდი“ ენამიისა და მილარის ტერიტორიაზე მდებარე მეძროხეობის, მეკამეჩოობის, მეღორეობის და მეკათმეობის ფერმებისათვის. ახლა აქ კეთილმოწყობილ წითელ კუთხეებში სალამობით კოლმეურნეები ნახავენ ტელეგადაცემებს. ამ ფერმებში მალე დამთავრდება რადიოსა და ტელეფონის ბაზების გაკეთება.

შ. ნატროშვილი

ლენინის სახელობისა

ბავანა. 20 აპრილი. საკადესის კორესპონდენტი მ. ბუხოვსკი იტყობინება:

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელს სიყვარულით წარმოთქვამენ ფაბრიკებისა და ქარხნების მუშები, ლერწმის პლანტაციათა მშრომელები, სტუდენტები, ბავშვები, რომლებმაც ეს-ეს არის კითხვა ისწავლეს.

მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის სახელს კუბელი ხალხი არქმევს სკოლებს, საავადმყოფოებს, ახალშენებებს. ქალაქ ოლგინში (ორიენტეს პროვინცია) მთავრდება კუბაში უდიდესი საავადმყოფოს მშენებლობა, რომელიც აღჭურვილი იქნება ყველაზე უახლესი სამედიცინო მოწყობილობით. ამ ახალშენებას კუბის მთავრობამ მიანიჭა დიდი ლენინის სახელი.

როცა ჰავანის „ავენიდა-დელოს პრეზიდენტის „ფართო პროსპექტზე მიდიხარ, შორიდანვე მოჩანს ერთ-ერთი შენობის კედელზე აღბეჭდილი წარწერა, რომელიც ვეებერთელა ასოები არის შესრულებული: „ვ. ი. ლენინის“ სახელობის მუშათა სკოლა“. აქ იმაღლებენ თავიანთ ზოგადსაგამანათლებელო დონეს საუკეთესოთა შორის საუკეთესო მუშები, რომლებიც მრეწველობის სამინისტრომ შეარჩია კუბის სხვადასხვა საწარმოში. ბევრი მათგანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას განაგრძობს უნივერსიტეტში და გახდება ინჟინერი კონსტრუქტორი, ეკონომისტი.

სულ ახლახან ლენინის სახელი მიენიჭა სახალხო მამულის „სოველიანოსის“ გაერთიანების შაქრის ლერწმის მჭრელთა ერთ-ერთ ბრიგადას მატანსასის პროვინციაში. ეს ბრიგადა, რომელშიც 32 მჭრელია, ერთ-ერთი მოწინავე ბრიგადაა კუბაში.

მაგრამ კუბაში არის სხვა ადგილებიც, რომლებსაც ხალხმა ლენინის სახელი მიანიჭა მრავალი ათეული წლის წინათ. ჰავანის ყურის მოპირდაპირე ნაპირზე მუშათა ქალაქ რეგლაში არის მატარა ბორცვი. უკვე ორმოცი წელია, რაც კუბელები მას „ლენინის სახელობის ბორცვს“ უწოდებენ. 1924 წლის 27 იანვარს ამ ბორცვზე შეიკრიბა ქალაქის ასობით მცხოვრები. იმისათვის, რომ საუკუნოდ აღებეჭდათ მსოფლიოს დიდი მოქალაქის ვ. ი. ლენინის ხსოვნა, მათ დარგეს აქ ზეთისხილი, როგორც მშვიდობის სიმბოლო. მას შემდეგ, 1930 წლის ჩათვლით, ქალაქ რეგლას მუშები აქ, ამ ბორცვზე, აწყობდნენ საპირველმაისო დღესასწაულებს.

კუბის მშრომელთა სიყვარულს დიდი ლენინისადმი მოწმობს შემდეგი ფაქტიც: თითქმის ორმოცი წლის მანძილზე წყნარი ამინდი იქნება თუ შტორმი, ჰავანის ყურეში და მის მახლობლად დადის პატარა კატარღა. ყამთა სიგრძისაგან ეს კატარღა მოძველდა, მაგრამ მას მთელი ამ წლების მანძილზე ამშვენებდა წარწერა „ლენინი“.

ვერც ტრანსის რეკომენდაციებმა, ვერც დრომ ვერ წაშალა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის სახელი, რომელიც დაწერეს ორმოციოდე წლის წინათ კუბელმა პატრიოტებმა.

სამარადისო მეგობრობა

დელი, 21 აპრილი. (საკადესი). „ინდოეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ძალიან კარგი ურთიერთობაა, და ორწმენებული ვარ, რომ ჩვენი მეგობრობა სამარადისო იქნება“, — განაცხადა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა შასტრიმ. პრემიერ-მინისტრმა ბაზგამით აღნიშნა, რომ ინდოეთი მიუმხრობლობის პოლიტიკის ერთგულია.

შასტრიმ სიტყვა წარმოთქვა დარბაზობაზე, რომელიც გუშინ მოაწყო ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის საზოგადოებამ საბჭოთა კავშირში ინდოეთის პრემიერ-მინისტრის მომავალ ვიზიტთან დაკავშირებით. მან მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის მეცადინეობას მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის განხორციელების საქმეში.

ტელეგრაფი გვატყობინებს

▲ თეირანში, ირან-სსრ კავშირის კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში გაიხსნა რუსი და საბჭოთა მხატვრების რეპროდუქციების გამოფენა. დამსწრეთ დიდი ინტერესით დაათვალიერეს ექსპონირებული რეპროდუქციები. გამოფენა ორ კვირას იმუშავებს.

▲ საბერძნეთის დედაქალაქის მერის მიწვევით ათენში ჩავიდა მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის დელეგაცია აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ვ. ვ. ისაევის მეთაურობით. საბჭოთა სტუმრები გაეცნობიან ათენის მუნიციპალიტეტის მუშაობას, დაათვალიერებენ საწარმოებს, საბერძნეთის დედაქალაქის საკურნალო და სხვა დაწესებულებებს, იმოგზაურებენ საბერძნეთში.

▲ იტალიურმა გაზეთმა „უნიტამ“ გამოაქვეყნა კარაკასიდან მიღებული კორესპონდენცია, რომელშიც იუწყება, რომ აწამეს მილანოელი ექიმი — კომუნისტი ალექსანდრო ბელტრამინი, რომელიც დამატიმრებულია ვენესუელის ხელისუფალთა მიერ შეთხზული ბრალდებით. ვენესუელის საიდუმლო პოლიციაში მას ორი ნეკნი ჩაუმტვრიეს.

დაუვიწყარი შთაბეჭდილებით

თბილისიდან ბაკმგზავრა „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ საზოგადოების პრეზიდენტი

„არასდროს დამავიწყდება სტუმართმოყვარე საქართველო. აქ თვალნათლივ ვნახე შესანიშნავი ნაყოფი ეროვნული პოლიტიკისა, რის განხორციელების მეოხებით საქართველო აყვავებული რესპუბლიკა გახდა“, — თქვა თბილისიდან გამგზავრების წინ „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ საზოგადოების პრეზიდენტმა, სენისა და ქალაქ პარიზის მუნიციპალურმა მრჩეველმა ანდრე ბლიუმელმა.

ფრანგი სტუმარი ჩვენს რესპუბლიკაში ყოფნის დროს ესაუბრა მეცნიერებისა და კულტურის მუშაკებს, საზოგადო მოღვაწეებს, დაათვალიერა ისტორიული ძეგლები. მან აღნიშნა ცხოველი ინტერესი, რასაც საქართველოს საზოგადოებრიობა იჩენს საფრანგეთის ცხოვრებისადმი. „საბჭოთა ადამიანები, რომლებიც აღზრდილ-ნარეან ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, — განაცხადა ბატონმა ბლიუმელმა, — დიდი პატივისცემისა და სიმპათიის გრძნობით ეკიდებიან ყველა ხალხს“.

გუშინ, 21 აპრილს, „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ საზოგადოების პრეზიდენტი კიევს გაფრინდა. (საკადესი).

დაკარგული ქულა

ხშირად როდი ნახავთ მატჩს, რომელშიც გუნდები ისე აშკარად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, როგორიც თბილისის და მინსკის დინამოელთა გუშინდელი მატჩი იყო, მართლაც, ერთი მხრივ არაჩვეულებრივად მაღალტექნიკური გუნდი, რომელიც ტაქტიკურად დახელოვნებულად მოქმედებდა, მეორე მხრივ კი გუნდი, რომელიც ყველაზე ნაკლებად ზრუნავს თამაშის ესთეტიკური მხარისათვის, მოქმედებს უკიდურესად სადად, ზოგჯერ პრიმიტიულადაც კი. და მაინც თამაშის შედეგი — ფრე, მე ვგონებ, საკმაოდ ზუსტად ასახავს ძალთა რეალურ თანაფარდობას ამ ორთაბრძოლაში.

რა დაუპირისპირეს მინსკელებმა თბილისელების უფრო მაღალტექნიკურ და ტაქტიკურად უფრო დახვეწილ თამაშს? უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, სწრაფი ტემპი. ჩვენ მივეჩვიეთ, რომ სწორედ თბილისელი დინამოელები ახვევენ თავს მეტოქეს ტემპიან თამაშს. ამჯერად მოწინააღმდეგენი უთუოდ სჯობნიდნენ მათ ამ მხრივ.

მაგრამ მარტო ტემპი როდი იყო მინსკელთა იარაღი ამ მატჩში. სტუმრები ისე გულმოდგინედ, თავგამოდებით მოქმედებდნენ, ისე თავდადებულად იბრძოდნენ ბურთისათვის, თითქოს ეს ჩემპიონატის მეორე მატჩი კი არ იყო, არამედ თასის ნახევარფინალი მაინც. თამაშში მინსკელთა ამ ენთუზიაზმის ფონზე თბილისელების მოქმედებას მეტისმეტი სიდინჯის იერი დაჰკრავდა.

მართალია, მინსკელების მძაფრი შეტევა, რაც თამაშის ბოლომდე არ შეწყვეტილა, მოულოდნელი როდი იყო თბილისელებისათვის. მათ მაინც ვერ მოახერხეს შეგუებოდნენ მეტოქეთა თამაშის ასეთ მანერას.

მატჩი საკმაოდ თავისებურად წარიმართა. პირველ ტაიმში ინიციატივა დიდხანს მინსკელებს ჰქონდათ, მაგრამ სწორედ მათს კარში გავიდა პირველი ბურთი. გ. სიჭინავამ შორი მანძილიდან აშკარად უხერხულად დაარტყა კარში, მაყურებლებმა იმედგაცრუებულად ამოიხვნეშეს, მაგრამ, როგორც მაშინვე გამოირკვა, აშკარად ნაადრევად. ბურთი მიწაზე დავარდა, მოულოდნელად მიმართულება იცვალა, ხელებზე შეეხო დაბნეულ დინინსკოს და მინსკელთა კარის ბადეში გაეხვია.

ამან სრულებითაც ვერ დაანძრია სტუმრები, მაგრამ სამაგიეროდ ნერვიულობა მოხსნა მასპინძლებს. ამ მომენტიდან დაწყებული, თბილისის „დინამოს“ თავდასხმა უფრო მტკიცედ მოქმედებს და ხშირად უკმნის მეტოქის კარს სავსებით რეალურ საფრთხეს.

მატჩის უღამაზესი ეპიზოდი მოხდა შესვენების შემდეგ. მეტრეველმა, რომელიც მეორე ტაიმში მარცხენა ფლანგზე მოქმედებდა, ეფექტიანათ აუარა გვერდი რიომინს, შემდეგ ზარეგმბოსაც და კარიდან რამდენიმე მეტრზე ძლიერი გარდიგარდმო დარტყმით გაგზავნა ბურთი. ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფმა დათუნაშვილმა თითქოს უტყუარი შესაძლებლობა მიიღო გაეორკეცებინა ანგარიში. მაგრამ იგი დაყოვნდა, არაზუსტად დაარტყა და მოახვედრა დინინსკოს, რომელმაც ბურთი კუთხურზე გაგზავნა.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ახლა, რიცა თამაშში უკვე იგრძნობოდა თბილისის გუნდის ჩვეული ხელწერა, როცა გადაცემები უფრო მწყვავე და ზუსტი გახდა, სტუმრების კარი კვლავ იქნებოდა აღებული. და უკვე არა შემთხვევითი დარტყმის შემდეგ, არამედ ვიგმაზმიერი შეტევის შედეგად.

მაგრამ გამეორდა პირველი ტაიმის სიტუაცია, იმ არსებითი განსხვავებით, რომ ამჯერად გოლი გატანილ იქნა მასპინძლების კარში. მუსტაგინმა დიდი სიჩქარით გაიარა ცენტრი, გვერდი აუარა ხურცილავას (რომელმაც კარგად ჩაატარა მატჩი) და ძლიერი დარტყმით გაიტანა გოლი.

სამწუხაროდ, ანგარიში რომ გაქვითეს, მინსკელებმა დროის გაყვანა დაიწყეს და დაუშვეს რამდენიმე აშკარა უხეშობა, რომლების აღკვეთა შეიძლებოდა, მსაჯი უფრო მტკიცე რომ ყოფილიყო.

ამრიგად, თბილისის „დინამო“ მეორედ გამოვიდა თავისთვის ახალ და საკმაოდ ძნელ როლში — ჩემპიონის როლში. ჩემპიონობა ყოველთვის ძნელია— ეს ეშმარტება ყველამ იცის, მაგრამ ნამდვილად იგი მხოლოდ თვითონ ჩემპიონებს ესმით.

გუშინდელი მატჩი ძნელი იყო ჩვენი ქვეყნის ჩემპიონებისათვის, მაგრამ მე არ ვიზიარებ იმათ აზრს, ვინც თბილისელ ფეხბურთელთა თამაშის გამო იმედგაცრუებას გამოთქვამდა. მათ ახლა ყოველთვის რთული და ძნელი ბრძოლა მოუხდებათ. ამას უნდა მიეჩვიონ.

მაგრამ საქმე მარტო ეს როდია. როგორადაც უნდა ვეკიდებოდეთ მინსკელების არცთუ ძალიან ეფექტიან სტილს, არ შეიძლება არ ვალიაროთ, რომ ეს გუნდი ამჟამად არაჩვეულებრივად მტკიცე და საშიში მოწინააღმდეგეა, რომელიც მეტოქეს თავს აბვევს მაღალტექნიკური გუნდებისათვის მეტად უხერხულ თამაშს. გამორიცხული არ არის, რომ ახლა, ჩემპიონატის სტარტზე, თბილისელებს უფრო ძნელი მეტოქე არა ჰყავთ.

სწორედ ამიტომ მე ვფიქრობ, რომ თბილისელ გულშემატკივრებს გული არ უნდა გაუტეხოს ერთი ქულის დაკარგვამ, თუმცა ეს არცვევს დინამოელთა გუნდის ტრადიციებს — სეზონის დასაწყისში ზედიზედ გამარჯვებებს არის მიჩვეული. და ფრეც ხომ ეს მარტო ნახევრადგამარჯვებაა, არამედ ნახევრადგამარჯვებაც...

ვიქ. ვასილიევი.

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მინსკი) 1:1 (1:0). თბილისი. 21 აპრილი. „დინამოს“ სტადიონი. მსაჯი ა. ვასილიევი (ხარკოვი).

„დინამო“ (თბილისი) — კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, მეტრეველი, ბარქაია, მაისურაძე, დათუნაშვილი; „დინამო“ (მინსკი) — დენისენკო, რიომინი, ზარემბო, უსატორე, სავოსტიანოვი, მოზეი, არზამასცევი, ადამოვი, მუსტიგინი, მალაფეევი, პოგალნიკოვი (იარომკო).

პირველი გამარჯვება

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 1:0 (0:0). ქუთაისი. 21 აპრილი. ქალაქის ცენტრალური სტადიონი. მსაჯი — ი. ბოჩაროვი (მოსკოვი).

„ჩერნომორეცი“ — გოროდენკო, მედაკინი, ზაბოლოტნი, სოლოდკი, პოპიჩკო, დერიაბინი, ჩებოტარიოვი, კოროშუნოვი, მოსკალენკო, ლობანოვსკი, საკი (პარკუიანი); „ტორპედო“ — ლეფუკა, ლოსაბერიძე (ჩხეკელი), მაზჩიჩუკი, ნიშნიანიძე, ოდიკაძე, კუტიკაძე, ჩხაიძე, დუნდუა, ჩხარტიშვილი, ასტაშვილი, ხერხაძე.

სტარტზე დამარცხებით განაწყენებული დებიუტანტი — ოდესის „ჩერნომორეცი“ თბილისიდან ქუთაისს ეწვია და აქ მორიგი მატჩი ადგილობრივ „ტორპედოსთან“ ჰქონდა. არც ქუთაისელები იყვნენ პირველი შეხვედრის შედეგით კმაყოფილი და ისინიც დაკარგულის ანაზღაურებას მეორე ტურში მოელოდნენ.

ასეთმა მდგომარეობამ მატჩი კიდევ უფრო საინტერესო გახადა. უნდა ითქვას, რომ ორივე გუნდმა აჩვენა ჩინებული ბრძოლისუნარიანობა, სწრაფვა გამარჯვებისაკენ. პირველი ხუთი წუთი მასპინძლებთა უპირატესობით წარიმართა, შემდეგ კი ოდესელებმა წონასწორობა აღადგინეს და მალე კონტრთამაშიც შექმნეს. 21-ე წუთზე მეკარე ლეფუკამ იხსნა „ჩერნომ.“ (ოდ.) 2 0 0 2 2:4 0

„შახტიორი“ (დ.)	2	2	0	0	3:0	4
ცსკა	2	1	1	0	4:1	3
„დინამო“ (მნ.)	2	1	1	0	3:1	3
„დინამო“ (ობ.)	2	1	1	0	4:3	3
„დინამო“ (კ.)	2	1	1	0	2:1	3
„პახტაკორი“ (ტ.)	1	1	0	0	1:0	2
„ნეფტიანიკი“ (ბ.)	2	1	0	1	3:2	2
„სპარტაკი“ (მ.)	2	1	0	1	2:1	2
სკა (როსტ.)	2	0	2	0	2:2	2
„ტორპედო“ (მ.)	2	1	0	1	2:3	2
„ტორპედო“ (ქ.)	2	1	0	1	1:2	2
„დინამო“ (მ.)	2	0	1	1	1:2	1
„ზენიტი“ (ლ.)	2	0	1	1	1:2	1
„ლოკომოტ.“ (მ.)	2	0	1	1	1:3	1
სკა (ოდ.)	2	0	1	1	1:4	1
„კრ. სოვ.“ (ეუიბ.)	1	0	0	1	0:2	0
„ჩერნომ.“ (ოდ.)	2	0	0	2	2:4	0

მატჩები და შედეგები

მეორე ტურის ერთ-ერთ ცენტრალურ პაექრობას წარმოადგენდა მატჩი კიევში გასული წლის პრეზიორის — არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის და სსრ კავშირის „დინამოს“ გუნდებს შორის. მართალია, ანგარიში პირველ ნახევარში მასპინძლებმა გახსნეს, მაგრამ მეორე ტაიმში არმიელმა ფეხბურთელებმა შესძლეს წონასწორობის აღდგენა და მატჩი ფრედ (1:1) დამთავრეს.

ბაკოს „ნეფტიანიკს“ მეორე ტურის შეხვედრა საკუთარ მოედანზე ჰქონდა, ამჯერად მოსკოვის „სპარტაკთან“. წინა შეხვედრისაგან განსხვავებით ბაქოელებმა მატჩი შედარებით სუსტად ჩაატარეს. ინიციატივა ხელთ იგდეს სპარტაკელებმა და ანგარიშიც მათ გახსნეს. მეორე ტაიმში მათვე მეორეჯერ აიღეს „ნეფტიანიკის“ კარი და გაიმარჯვეს 2:0.

მოსკოვს დიდი ფეხბურთი ეწვია. აქ ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის „ტორპედოსა“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის“ გუნდები. ტორპედოელთა ორ გოლს კუიბიშეველებმა ვერაფრით უპასუხეს და პირველი დამარცხება იგემეს.

დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდს პაექრობა მოსკოვის „ლოკომოტივთან“ ჰქონდა. მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს და „სატურნირო ცხრილში თითო ქულა ჩაიწერეს.

დონეცკის „შახტიორმა“ საკუთარ მოედანზე მეორე მატჩი ჩაატარა. ამჯერად მისი მეტოქე ლენინგრადის „ზენიტი“ იყო. აქ შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელმაც მასპინძლებს ორი ქულა მოუტანა.

ოდესაში ერთმანეთს შეხვდნენ არმიის სასპორტო კლუბისა (ოდესა) და მოსკოვის „დინამოს“ გუნდები. მატჩის შედეგია ფრე —1:1.

ყოფილი „სპორტი“

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება გამოჩენილი მწერლის

გიორგი ივანეს-ძე შატბერაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვალებულის ოჯახს.
პანაშვიდი 22, 23 აპრილს საღ. 8 საათზე, გოგებაშვილის ქ. № 43.
გამოსვენება 24 აპრილს 5 ს. მწერალთა სახახლიდან (მაჩაბლის ქ. № 13).

დისერტაციების დაცვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

5 მაისს, დღის 12 საათზე № 59 აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 36) ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ბურამ პარლამის-ძე კაკაურაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „**მეთამბაქოობის ეკონომიკის საკითხები საბჭოთა საქართველოში**“.

12 მაისს, დღის 2 საათზე № 1 აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის, პრ. № 14) ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ციცინა ალექსანდრეს ასული ჩხუბიანიშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „**ბირთვული პოლიედროზის როგორც მზომელების რიცხობრივობის მარეგულირებელი ფაქტორის შესწავლის შედეგები საქართველოში**“.

15 მაისს, დღის 2 საათზე ქიმიის დიდ აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 3) ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ბურამ დავითის-ძე სუპატაშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „**ატმოსფერული ნალექების და მყინვარების ქიმიური შემადგენლობა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე**“.

ამერიკის პრეზიდენტს ბაგონ ლინდონ ბ. ჯონსონს

ბატონო პრეზიდენტო!

ამ მრისხანე დღეებში, რომლებსაც შეიძლება მოყვეს უდიდესი საშიშროება კაცობრიობისათვის, ჩვენ, საბჭოთა საქართველოს დედაქალაქ თბილისის მეცნიერ ქალებს მოვალეობად მიგვაჩნია მოგმართოთ პირადად თქვენ. უკვე ათი წელია თქვენი ქვეყნის მთავრობა იწარმოებს სასტიკ, გამანადგურებელ ომს სამხრეთ ვიეტნამის ხალხის წინააღმდეგ, რომელსაც არ სურს ცნოს რეაქციული რეჟიმი, რომელსაც მას თავს ახვევენ. ამერიკელი ხალხის ღირსების დასაცავად ჩვენ ხმას ვიღებთ ყველა საბჭოთა ადამიანის ხმას და მოვითხოვთ გაიყვანოთ ამერიკის შეიარაღებული შტატების მთელი შეიარაღებული ძალები მრავალტანჯულ ვიეტნამიდან. დე ვიეტნამელებმა თვითონვე გადაჭრან თავიანთი სამშობლოს პოლიტიკური და სოციალური წყობის საკითხები.

მეცნიერი ქალების ჯგუფი, პროფესორები:

ძ. ლომთათიძე, ნ. ჯავახიშვილი, თ. მრევლიშვილი, ძ. სიხარულიძე, თ. ზარაძენიძე, მ. ლორთქიფანიძე, თ. ფერეთელი, ე. ნანობაშვილი.

ვიზიტი გრძელდება

ანკარა, 20 აპრილი (საკადესი). გუშინ პრეზიდენტმა ნასერმა მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გერჰარდ ვაისი. როგორც მერნის საგანეტო იუწყება, გ. ვაისმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ვალტერ ულბრიხტის სახელით პრეზიდენტ ნასერს სთხოვა ეწვიოს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია, რომელსაც გ. ვაისი მეთაურობს, მესამე დღეა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში იმყოფება. იგი არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პასუხისმგებელ პირებთან აწარმოებს მოლაპარაკებას. ორი ქვეყნის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ.

ტელეფონი

22 აპრილი

პირველი პროგრამით

09.15 — ქართულ ხალხურ საკრავთა ორკესტრის კონცერტი, 11.15 — ლენინის საყვარელი მუსიკალური ნაწარმოებები, 12.10 — საუბარი — „გამარჯვებული ლენინიზმი“, 12.25 — ა. შავერნაძეული. ორატორია „დიდება ოქტომბერს“, 13.10 — ძველებური რევოლუციური სიმღერები, 13.40 — დოლუხანიხი. კანტატა „ლენინის გზით“, 14.00 — ვ. სვირიდოვი. პოეტიკური ორატორია (მოსკოვი), 15.00 — „ლენინური პრემიის ლაურეატები (მოსკოვი), 15.30 — რადიოკომპოზიცია „ლენინი ყველა ხალხის მახლობელია“ (მოსკოვი), 17.15 — სიმღერები სამშობლოზე, პარტიაზე, მშვიდობასა და მეგობრობაზე, 17.35—გადაცემა მოსწავლეთათვის „დიდება ლენინს“, 18.00 — ლენინის დაბადების 95-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის ტრანსლაცია მოსკოვიდან, 22.00 — კონცერტი ლენინური პრემიის ლაურეატების მონაწილეობით, 23.30 — ქართული მსუბუქი მუსიკა.

თეატრები

22 აპრილი

რუსთაველის სახელობის დიდი დრამბაზი — ვახშმობის წინ (მე-12 აბონ. მე-5 წარმოდგენა), **მარჯანიშვილის სახელობის** — კახაბერის ხმალი (მე-11 აბონ. მე-4 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — მაშენკა (მე-6 აბონ. მე-7 წარმოდგენა), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — სიმღერა თბილისზე, **სანკულტურის** — ბრალდებული, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — მეთორმეტე ღამე (№ 39 აბონ. დილის 10 ს.), ზღაპარი ჯარისკაცის თოფზე (№ 57 აბონ. საღ. 6 ს.).

ტელევიზია

22 აპრილი

11.00 — „ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ“, 11.20 — დოკუმენტური ფილმი „პარიზი. ლენინის პროსპექტი“, 12.20 — მხატვრული ფილმი „ლუსკი რეიული“, 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ვ. ი. ლენინის დაბადების 95 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის ტრანსლაცია. 21.30 — ახალი ამბები, 22.00 — 1965 წლის ლენინური პრემიის ლაურეატები ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

რადიო

22 აპრილი

პირველი პროგრამით

ХЧ ЗЧЧЛЛОТ, ХЧ ЭОЗИЛЗЭИСЛОТ

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС